საქართველოს მთავრობის

დადგენილება №59

2011 წლის 31 იანვარი

ქ. თბილისი

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ მომსახურების გაწევის ვადისა და საფასურის დამტკიცების შესახებ

მუხლი 1. სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის 21^2 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, დამტკიცდეს თანდართული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ მომსახურების გაწევის ვადა და საფასური.

საქართველოს მთავრობის 2017 წლის 27 ოქტომბრის დადგენილება №481 – ვებგვერდი, 30.10.2017წ.

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **ნ. გილაური**

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ მომსახურების გაწევის ვადა და საფასური

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. დაინტერესებული პირი ვალდებულია საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სურსათის ეროვნული სააგენტოს (შემდგომში – სააგენტო) მიერ გასაწევი მომსახურებისათვის სააგენტოს ანგარიშზე მომსახურების გაწევამდე გადაიხადოს დადგენილი საფასური, გარდა მე-2 მუხლის მე-19 პუნქტით გათვალისწინებული მომსახურების ან „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად განხორციელებული მომსახურების შესყიდვისა, რომლის დროს საფასურის გადახდის პირობა დგინდება დაინტერესებულ პირსა და სააგენტოს შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე.

2. დაინტერესებული პირი ვალდებულია სააგენტოსათვის მიმართვისას წარადგინოს მომსახურების საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის დედანი (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ხდება ელექტრონული საშუალებით გადახდა), გარდა მე-2 მუხლის მე-19 პუნქტით გათვალისწინებული მომსახურების ან „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად განხორციელებული მომსახურების შესყიდვისა, რომლის დროს საფასურის გადახდის პირობა დგინდება დაინტერესებულ პირსა და სააგენტოს შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული დოკუმენტის წარუდგენლობა მომსახურების გაწევის თაობაზე უარის თქმის საფუძველია.

4. ამ დადგენილებით გათვალისწინებული მომსახურების ვადის ათვლა იწყება დაინტერესებული პირის მიერ დადგენილი წესით სააგენტოსთვის მიმართვის დღის მომდევნო სამუშაო დღეს და მთავრდება მომსახურების ვადის ბოლო დღის გასვლისთანავე. თუ ვადის ბოლო დღე ემთხვევა უქმე ან დასვენების დღეს, ვადის დამთავრების დღედ ჩაითვლება მისი მომდევნო პირველი სამუშაო დღე. ეს პუნქტი არ ვრცელდება ამ მუხლის 4^1 – 4^3 პუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებზე.

4^1. თუ დაინტერესებულმა პირმა ამ დადგენილებით გათვალისწინებული წესით მიმართა სააგენტოს 1 სამუშაო დღის ვადაში მომსახურების გაწევის მოთხოვნით და განცხადების შეტანა მოხდა დღის 12 საათამდე, მომსახურების გაწევა უნდა მოხდეს იმავე დღეს, ხოლო თუ განცხადების შეტანა მოხდა დღის 12 საათის შემდეგ, მომსახურების გაწევა მოხდება მომდევნო სამუშაო დღეს.

4^2. შაბათ-კვირას ან უქმე დღეს მომსახურების გაწევა ხდება იმ შემთხვევაში, თუ დაინტერესებულმა პირმა ამ დადგენილებით გათვალისწინებული წესით მიმართა სააგენტოს შაბათ-კვირას ან უქმე დღეს მომსახურების გაწევის მოთხოვნით და წარმოდგენილი აქვს შაბათ-კვირის ან უქმე დღისთვის დადგენილი მომსახურების საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი.

4^3. თუ პირს გადახდილი აქვს საფასური კონკრეტულ ვადაში მომსახურების გაწევისათვის, შესაძლებლობის შემთხვევაში მას მომსახურება შესაძლებელია გაეწიოს აღნიშნულ ვადაზე უფრო ადრე (მ.შ., სააგენტოში განცხადების რეგისტრაციის დღესაც), თუ ამ სახის მომსახურებისათვის უფრო მცირე ვადა არ არის დადგენილი.

5. თუ მომსახურების გაწევისას გამოვლინდა ხარვეზი, სააგენტო დაინტერესებულ პირს მიუთითებს კონკრეტულ ნაკლოვანებებზე და განუსაზღვრავს გონივრულ ვადას, რომლის განმავლობაშიც დაინტერესებულმა პირმა უნდა გამოასწოროს ხარვეზი. ხარვეზის გამოსწორებამდე მომსახურების გაწევის ვადის დინება შეჩერებულად მიიჩნევა. მომსახურების გაწევის ვადის დინება განახლდება ხარვეზის აღმოფხვრისთანავე. დადგენილ ვადაში ხარვეზის გამოუსწორებლობა განცხადების განუხილველად

დატოვების საფუძველია.

6. საფასურის ეტაპობრივი გადახდის საკითხს წყვეტს სააგენტოს უფროსი.

7. საფასურის გადახდისაგან თავისუფლდებიან:

ა) დაწესებულებები (ორგანიზაციები), რომელთა ხარჯები ფინანსდება მხოლოდ სახელმწიფო ბიუჯეტიდან;

ბ) ბიზნესოპერატორები, რომელთაც სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის შესაბამისად აქვთ მცირე ბიზნესის სტატუსი და იღებენ ამ დანართის მე-2 მუხლის მე-19 და მე-20 პუნქტებით გათვალისწინებულ მომსახურებას.

8. დაინტერესებულ პირს გადახდილი საფასური უკან უბრუნდება, თუ:

ა) დაინტერესებული პირი განცხადების შეტანამდე წერილობით განაცხადებს უარს მომსახურებაზე;

ბ) საფასური გადახდილია ამ დადგენილების შესაბამისად საფასურის გადახდისაგან გათავისუფლებული პირის მიერ;

გ) მოთხოვნილია ისეთი მომსახურება, რომლის გაწევაც არ განეკუთვნება სააგენტოს კომპეტენციას;

დ) დაინტერესებული პირი განაცხადის შეტანიდან 3 დღის ვადაში უარს განაცხადებს მომსახურებაზე, გარდა იმ შემთხვევისა, თუ იგი განცხადებით მომსახურების გაწევას ითხოვს 5 სამუშაო დღის ან ნაკლებ ვადაში ან სააგენტოს მიერ გაწეულია მომსახურება, ამ მუხლის 4^3 პუნქტის გათვალისწინებით.

საქართველოს მთავრობის 2011 წლის 24 მაისის დადგენილება №217 - ვებგვერდი, 27.05.2011წ.
საქართველოს მთავრობის 2017 წლის 7 აგვისტოს დადგენილება №377 - ვებგვერდი, 10.08.2017წ.
საქართველოს მთავრობის 2017 წლის 27 ოქტომბრის დადგენილება №481 – ვებგვერდი, 30.10.2017წ.
საქართველოს მთავრობის 2021 წლის 21 იანვრის დადგენილება №24 – ვებგვერდი, 22.01.2021წ.

მუხლი 2. სააგენტოს მიერ მომსახურების გაწევის ვადა და საფასური

№	მომსახურების სახე	მომსახურების ვადა	მომსახურების საფასური (დღგ-ის ჩათვლით)
1	ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქციის იმპორტის ნებართვის გაცემა	20 სამუშაო დღე 5 სამუშაო დღე 1 სამუშაო დღე	100 ლარი 200 ლარი 300 ლარი
2	ფიტოსანიტარიულ კონტროლს დაქვემდებარებული მცენარეული წარმოშობის პროდუქციის იმპორტის ნებართვის გაცემა:		
	ა) სეს ესნ-ის 1101 00 და 1101 00 150 00 სასაქონლო ქვესუბპოზიციებში კლასიფიცირებული ხორბლის ფქვილის იმპორტის დროს ნებართვის გაცემა (გარდა ხორბლის ფქვილზე გაცემული პრეფერენციული წარმოშობის სერტიფიკატი EUR.1-ისა ან წარმოშობის დეკლარაციის საფუძველზე საგადასახადო შეღავათის გამოყენების შემთხვევისა)	1 სამუშაო დღე	ყოველ 1 კგ-ზე 0,3 ლარი
	ბ) სეს ესნ-ის 1003 90 000 00 სასაქონლო ქვესუბპოზიციაში ან/და 1104 19 610 00, 1104 19 690 00, 1104 29 040 00, 1104 29 050 00 და 1104 29 080 00 სასაქონლო ქვესუბპოზიციაში კლასიფიცირებული ქერის იმპორტის დროს ნებართვის გაცემა (გარდა პრეფერენციული წარმოშობის სერტიფიკატი EUR.1-ის ან წარმოშობის დეკლარაციის საფუძველზე საგადასახადო შეღავათის გამოყენების შემთხვევისა)	1 სამუშაო დღე	ყოველ 1 კგ-ზე 0,2 ლარი
	გ) სეს ესნ-ის 2302 სასაქონლო პოზიციაში კლასიფიცირებული ქატოს იმპორტის დროს ნებართვის გაცემა (გარდა პრეფერენციული წარმოშობის სერტიფიკატი EUR.1-ისა ან წარმოშობის დეკლარაციის საფუძველზე საგადასახადო შეღავათის გამოყენების შემთხვევისა)	1 სამუშაო დღე	ყოველ 1 კგ-ზე 0,2 ლარი
	დ) ფიტოსანიტარიულ კონტროლს დაქვემდებარებული მცენარეული წარმოშობის პროდუქციის იმპორტის ნებართვის გაცემა, გარდა ამ პუნქტის „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისა	20 სამუშაო დღე 5 სამუშაო დღე 1 სამუშაო დღე	100 ლარი 200 ლარი 300 ლარი
3	ფიტოსანიტარიული სერტიფიცირება:		
	ა) ექსპორტის/რეექსპორტის დროს ფიტოსანიტარიული სერტიფიცირება ტვირთის ფიზიკური შემოწმების გარეშე	5 სამუშაო დღე	100 ლარი
		არასამუშაო საათები, შაბათ-კვირა ან უქმე დღე	300 ლარი
	ბ) ექსპორტის/რეექსპორტის დროს ფიტოსანიტარიული სერტიფიცირება ტვირთის ინსპექტირებით	5 სამუშაო დღე	250 ლარი
		არასამუშაო საათები, შაბათ-კვირა ან უქმე დღე	300 ლარი
	გ) საფოსტო გზავნილის, მგზავრის ბარგის, ხელბარგის ფიტოსანიტარიული სერტიფიცირება	5 სამუშაო დღე	50 ლარი
		არასამუშაო საათები, შაბათ-კვირა ან უქმე დღე	200 ლარი
4	ვეტერინარული სერტიფიცირება:		
	ა) ექსპორტის დროს ვეტერინარული სერტიფიცირება, გარდა ცოცხალი ცხოველების ექსპორტისა	5 სამუშაო დღე	200 ლარი
		1 სამუშაო დღე, არასამუშაო	300 ლარი

		საათები, შაბათ-კვირა ან უქმე დღე	
	ბ) ცოცხალი ცხოველების ექსპორტის დროს ვეტერინარული სერტიფიკატის გაცემა	1 სამუშაო დღე, არასამუშაო საათები, შაბათ-კვირა ან უქმე დღე	300 ლარი
5	სურსათისა და სურსათთან დაკავშირებული ტარის ჰიგიენური სერტიფიცირება (გარდა გამოფენაზე გასატანი ან/და ნიმუშად წარსადგენი სურსათისა და სურსათთან დაკავშირებული ტარისა)	5 სამუშაო დღე 3 სამუშაო დღე 1 სამუშაო დღე	100 ლარი 150 ლარი 300 ლარი
5^1	სურსათის/ცხოველის საკვების ჯანმრთელობის სერტიფიკატის გაცემა	5 სამუშაო დღე 3 სამუშაო დღე 1 სამუშაო დღე	100 ლარი 150 ლარი 300 ლარი
6	წყლის სასაქონლო პროდუქციისთვის კატეგორიის მინიჭების პროცედურების განხორციელება	3 თვე 2 თვე 1 თვე	250 ლარი 500 ლარი 1000 ლარი
7	ვეტერინარული პრეპარატის რეგისტრაცია:		
	ა) ეროვნული რეჟიმით პირველადი რეგისტრაცია	115 სამუშაო დღე 60 სამუშაო დღე	1500 ლარი 2000 ლარი
	ბ) ეროვნული რეჟიმით ხელახალი რეგისტრაცია	35 სამუშაო დღე 20 სამუშაო დღე	1000 ლარი 1300 ლარი
	გ) ეროვნული რეჟიმით რეგისტრირებული ვეტერინარული პრეპარატის სარეგისტრაციო დოკუმენტაციაში პირველი რიგის ცვლილების რეგისტრაცია	35 სამუშაო დღე 20 სამუშაო დღე	100 ლარი 150 ლარი
	დ) ეროვნული რეჟიმით რეგისტრირებული ვეტერინარული პრეპარატის სარეგისტრაციო დოკუმენტაციაში მეორე რიგის ცვლილების რეგისტრაცია	115 სამუშაო დღე 60 სამუშაო დღე	1000 ლარი 1300 ლარი
	ე) აღიარებითი რეჟიმით პირველადი რეგისტრაცია	25 სამუშაო დღე 15 სამუშაო დღე	500 ლარი 1500 ლარი
	ვ) აღიარებითი რეჟიმით ხელახალი რეგისტრაცია	15 სამუშაო დღე 10 სამუშაო დღე	400 ლარი 500 ლარი
	ზ) აღიარებითი რეჟიმით რეგისტრირებული ვეტერინარული პრეპარატის ცვლილების რეგისტრაცია	15 სამუშაო დღე 10 სამუშაო დღე	100 ლარი 150 ლარი
8	პესტიციდებისა და აგროქიმიკატების რეგისტრაცია:		
	ა) პესტიციდის სარეგისტრაციო განაცხადის (დოსიეს) განხილვა	2 თვე 1 თვე 2 კვირა	1000 ლარი 2000 ლარი 3000 ლარი
	ბ) ექსპერტიზისა და პესტიციდის სარეგისტრაციო გამოცდების შედეგების ანალიზი და პესტიციდის რეგისტრაცია	1 თვე 2 კვირა	1000 ლარი 2000 ლარი
	გ) პესტიციდის ხელახალი რეგისტრაცია	2 თვე 1 თვე 2 კვირა	1000 ლარი 2000 ლარი 3000 ლარი
	დ) რეგისტრირებული პესტიციდის გამოყენების სფეროს გაფართოება	2 თვე 1 თვე 2 კვირა	1000 ლარი 2000 ლარი 3000 ლარი
	ე) აგროქიმიკატის სარეგისტრაციო განაცხადის განხილვა	2 თვე 1 თვე 2 კვირა	700 ლარი 1500 ლარი 2000 ლარი
	ვ) ექსპერტიზისა და აგროქიმიკატის სარეგისტრაციო გამოცდების შედეგების ანალიზი და აგროქიმიკატის რეგისტრაცია	1 თვე 2 კვირა 1 კვირა	700 ლარი 1500 ლარი 2000 ლარი
	ზ) აგროქიმიკატის ხელახალი რეგისტრაცია	1 თვე 2 კვირა 1 კვირა	700 ლარი 1500 ლარი 2000 ლარი
	თ) რეგისტრირებული პესტიციდის ან აგროქიმიკატის დამადასტურებელ დოკუმენტაციაში ცვლილების შეტანა	20 სამუშაო დღე 10 სამუშაო დღე 5 სამუშაო დღე	100 ლარი 200 ლარი 300 ლარი
9	პესტიციდის ან აგროქიმიკატის ხარჯვის ნორმის დაანგარიშება/კორექტირება	20 სამუშაო დღე 10 სამუშაო დღე	400 ლარი 600 ლარი
10	წინასაექსპორტო და ვეგეტაციის პერიოდში სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ინსპექტირება	1ჰა-მდე თითოეულ ჰა-ზე დამატებით	100 ლარი 20 ლარი
10^1	შესაფუთი ხის მასალის მარკირების უფლების მინიჭება		2000 ლარი
11	(ამოღებულია - 04.12.2023, №471)		
11^1	სადეზინფექციო სამუშაოების ან მცენარეთა მავნე ორგანიზმების/ტრანსმისიური დაავადებების გადამტანების წინააღმდეგ ღონისძიებების (გარდა სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებისა) ჩატარება:		
	ა) თერმული ნისლის ტექნოლოგიით	160 ლიტრი სამუშაო ნაზავით – 60 ჰექტარი ფართობის დამუშავება	1400 ლარი
	ბ) მცირემოცულობიანი შესხურების ტექნოლოგიით	400 ლიტრი სამუშაო ნაზავით – 20 ჰექტარი ფართობის დამუშავება	900 ლარი

12	ვეტერინარული ზედამხედველობა (ვეტერინარული შემოწმების საფუძველზე, შესაბამისი დოკუმენტის გაცემა)	მსხვილფეხა საქონლის ტანხორცი	10 ლარი
		ღორის ტანხორცი	7 ლარი
		ცხვრის, თხის ტანხორცი (ყველა ასაკის)	3 ლარი
		კენტჩლიქიანის ტანხორცი	7 ლარი
		ზოცვრის, თახვის ტანხორცი	0.15 ლარი
		ფრინველის ტანხორცი	0.03 ლარი
		ტყავი, ტყავნედლეული (1 პარტია)	50 ლარი
13	საექსპორტო ცხოველთა საკარანტინო ვეტერინარული ზედამხედველობა	მსხვილფეხა საქონელი	1 სული – 2 ლარი
		ღორი	1 სული – 1 ლარი
		წვრილფეხა საქონელი	1 სული – 0.5 ლარი
		კენტჩლიქიანი ცხოველი	1 სული – 1 ლარი
		ზოცვერი, კურდღელი, თახვი	1 სული – 0.1 ლარი
		ძაღლი, კატა	1 სული – 15 ლარი
13^1	იმპორტირებულ ცხოველთა საკარანტინო ვეტერინარული ზედამხედველობა	მსხვილფეხა საქონელი	1 სული – 2 ლარი
		ღორი	1 სული – 1 ლარი
		წვრილფეხა საქონელი	1 სული – 1 ლარი
		კენტჩლიქიანი ცხოველი	1 სული – 1 ლარი
		ზოცვერი, კურდღელი, თახვი	1 სული – 0.1 ლარი
		ძაღლი, კატა	1 სული – 15 ლარი
13^2	ცხოველის განმეორებითი იდენტიფიკაცია		
ა)	სააგენტოს მიერ:		
	ა.ა) მსხვილფეხა საქონლის იდენტიფიკაცია საყურე ნიშნის/სხვა საიდენტიფიკაციო საშუალებით	1 სული	5.20 ლარი
	ა.ბ) წვრილფეხა საქონლის იდენტიფიკაცია:		
	ა.ბ.ა) ელექტრონული საშუალებით	1 სული	5.10 ლარი
	ა.ბ.ბ) საყურე ნიშნის/სხვა საიდენტიფიკაციო საშუალებით	1 სული	2.30 ლარი
ბ)	ბიზნესოპერატორისთვის საყურე ნიშნის გადაცემით	1 ცალი საყურე ნიშანი	საყურე ნიშნის შესყიდვის ღირებულება
13^3	ექსპორტიორი საწარმოების სიაში ახალი საწარმოს შეტანის მიზნით, დაინტერესებული პირის მოთხოვნით ინსპექტირება (მათ შორის, დისტანციურად, კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით)	სომხეთი, აზერბაიჯანი	2000 აშშ დოლარი
		რუსეთი, აღმოსავლეთ ევროპა, დასავლეთ ევროპა	3000 აშშ დოლარი
		აზია	8000 აშშ დოლარი
		ჩრდილოეთ აფრიკა	5000 აშშ დოლარი
		სამხრეთ აფრიკა	6000 აშშ დოლარი
		ჩრდილოეთ ამერიკა, სამხრეთ ამერიკა	8000 აშშ დოლარი
14	(ამოღებულია - 13.03.2020, №164)		
15	კონსულტაცია: ა) სამუშაო ადგილზე ბ) გასვლითი კონსულტაცია		 50 ლარი 200 ლარი
15^1	ტრენინგი:	1 საათი	1 პირი 20 ლარი
16	დაინტერესებული პირის ნებაყოფლობითი მიმართვის შემთხვევაში, ფიტოსანიტარიულ კარანტინს დაქვემდებარებული პროდუქციის, მასალის, ობიექტის გაუსნებოვნების პროცესზე ზედამხედველობა		100 ლარი
17	ბიზნესოპერატორის მოთხოვნის (გარდა სავალდებულო აღიარების მოთხოვნისა) საფუძველზე, მათ შორის,	მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე ბიზნესოპერატორისთვის	200 ლარი

	გაცემული მითითებების გამოსწორებისთვის დადგენილი გონივრული ვადის გასვლამდე, ინსპექტირების განხორციელება	ბიზნესოპერატორისთვის (გარდა მცირე ბიზნესის სტატუ-სისა)	400 ლარი
18	საფრთხის ანალიზისა და კრიტიკული საკონტროლო წერტილების (HACCP) სისტემის პრინციპების შესაბამისობის დადგენა		2500 ლარი
19	სურსათის ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის რეგისტრაციისათვის საჭირო მონაცემების შესახებ დასკვნის გაცემა	3 თვე 2 თვე 1 თვე	300 ლარი 700 ლარი 1000 ლარი
20	სურსათის ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის გამოყენების უფლების მქონე პირის რეგისტრაციისათვის დასკვნის გაცემა	3 თვე 2 თვე 1 თვე	200 ლარი 400 ლარი 600 ლარი
21	ჩვილ ბავშვთა კვების პროდუქტების წარმოება-დაფასოებისა და ბავშვთა კვების პროდუქტების წარმოება-დაფასოების ლიცენზიების გაცემა	3 თვე 2 თვე 1 თვე	200 ლარი 400 ლარი 600 ლარი.
22	ვეტერინარის/ვეტერინარი ტექნიკოსის სახელმწიფო სერტიფიცირება		50 ლარი

საქართველოს მთავრობის 2011 წლის 24 მაისის დადგენილება №217 - ვებგვერდი, 27.05.2011წ.
საქართველოს მთავრობის 2011 წლის 15 აგვისტოს დადგენილება №318 - ვებგვერდი, 17.08.2011წ.
საქართველოს მთავრობის 2011 წლის 10 ნოემბრის დადგენილება №419 - ვებგვერდი, 14.11.2011წ.
საქართველოს მთავრობის 2012 წლის 18 იანვრის დადგენილება №15 – ვებგვერდი, 24.01.2012წ.
საქართველოს მთავრობის 2012 წლის 23 მარტის დადგენილება №101 - ვებგვერდი, 26.03.2012წ.
საქართველოს მთავრობის 2014 წლის 4 აპრილის დადგენილება №267 – ვებგვერდი, 07.04.2014წ.
საქართველოს მთავრობის 2017 წლის 7 აგვისტოს დადგენილება №377 - ვებგვერდი, 10.08.2017წ.
საქართველოს მთავრობის 2017 წლის 27 ოქტომბრის დადგენილება №481 – ვებგვერდი, 30.10.2017წ.
საქართველოს მთავრობის 2018 წლის 31 დეკემბრის დადგენილება №686 - ვებგვერდი, 31.12.2018წ.
საქართველოს მთავრობის 2019 წლის 25 აპრილის დადგენილება №209 - ვებგვერდი, 01.05.2019წ.
საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 სექტემბრის დადგენილება №458 - ვებგვერდი, 23.09.2019წ.
საქართველოს მთავრობის 2020 წლის 13 მარტის დადგენილება №164 – ვებგვერდი, 16.03.2020წ.
საქართველოს მთავრობის 2021 წლის 21 იანვრის დადგენილება №24 – ვებგვერდი, 22.01.2021წ.
საქართველოს მთავრობის 2023 წლის 4 დეკემბრის დადგენილება №471 – ვებგვერდი, 05.12.2023წ.
საქართველოს მთავრობის 2025 წლის 11 მარტის დადგენილება №69 - ვებგვერდი, 12.03.2025წ.
საქართველოს მთავრობის 2025 წლის 1 ივლისის დადგენილება №239 - ვებგვერდი, 02.07.2025წ.
საქართველოს მთავრობის 2025 წლის 4 აგვისტოს დადგენილება №318 - ვებგვერდი, 05.08.2025წ.
საქართველოს მთავრობის 2025 წლის 15 სექტემბრის დადგენილება №405 - ვებგვერდი, 16.09.2025წ.
საქართველოს მთავრობის 2026 წლის 23 იანვრის დადგენილება №26 - ვებგვერდი, 27.01.2026წ.

მუხლი 3

1. ერთი საკარანტინო ვადის განმავლობაში მე-2 მუხლის მე-13 პუნქტით გათვალისწინებული მომსახურების მინიმალური ღირებულება არის:

ა) მსხვილფეხა და წვრილფეხა პირუტყვზე, კენტჩლიქიან ცხოველსა და ღორზე – 100 ლარი;

ბ) ბოცვერზე, კურდღელზე, თახვზე – 25 ლარი.

2. (ამოღებულია - 21.01.20201, №24).

საქართველოს მთავრობის 2011 წლის 8 ოქტომბრის დადგენილება №378 - ვებგვერდი, 12.10.2011წ.
საქართველოს მთავრობის 2017 წლის 7 აგვისტოს დადგენილება №377 - ვებგვერდი, 10.08.2017წ.
საქართველოს მთავრობის 2021 წლის 21 იანვრის დადგენილება №24 – ვებგვერდი, 22.01.2021წ.

მუხლი 4. (ამოღებულია)

საქართველოს მთავრობის 2012 წლის 18 იანვრის დადგენილება №15 – ვებგვერდი, 24.01.2012წ.
საქართველოს მთავრობის 2014 წლის 4 აპრილის დადგენილება №267 – ვებგვერდი, 07.04.2014წ.
საქართველოს მთავრობის 2017 წლის 7 აგვისტოს დადგენილება №377 - ვებგვერდი, 10.08.2017წ.